

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

ვანდანუ
დაბლა დაბლა

მ. სკლავს ღუზი მთაბრია



„ღუზი“



K128.541-542/3

F+

87



კანტონე
გოგოლაშვილი



მ, სკანც შუიჯი მთაგრა



„გოგოლაშვილი“ თბილისი 1967

Г2
899, 962. 1-93
8 611



ჩვენი პატარა გპითხველებო!

ამ წიგნში თქვენ გაიცნობთ პატარა კახას. კახა თქვენოდენა შიშია, მაგრამ არასდროს არ ყოფილა სოფელში, არ უნახავს გოჭი, ინდაური, ხბო... ჰოდა, რა მისი ბრალია, თუ გოჭი კატა ეგონა, ხბო კი გოჭად მოეჩვენა? თუმცა სულ მალე შეეჩვია სოფელს, ყველაფერი გაიგო და გაარკვია. იყო სათევზაოდ მდინარეზე, ნაწვიმარზე ტყეს ესტუმრა და შინ ერთი გოღორი სოკო მიიტანა. ერთხელ ქვევრშიც კი ჩავარდა... არ შეგეშინდეთ, არაფერი დაშავებია, რბილად დაეცა, იჯდა თავისთვის და მღეროდა. მერე ჩაეძინა კიდევ... თუმცა ყველაფერს ხომ არ მოგიყვებით, წაიკითხეთ ეს პატარა მოთხრობა, იქნებ ისე მოგეწონოთ, რომ მეწვიოთ კიდევ კახას სოფელში, დიახ, დიახ, კახა ხომ გელათში გეპატივებათ!

ჩ 298.777
3





კახა სოფელში მიღის


სწავლის დამთავრებისთანავე კახა სოფელში წასასვლელად მოამზადეს. თვითონ კახა ჯერ არ სწავლობს, ის მხოლოდ სამი წლისაა, მაგრამ დედაშისი მასწავლებელია, მანანა კი მესამე კლასის მოსწავლეა.

ჰოდა, მარტო კახა ხომ ვერ წავიდოდა სოფლად? არა, მარტოკას ვინ გაუშვებდა, თორემ წასვლას რა დიდი ამბავი უნდა. ჩაჯდებოდა მატარებელში და — ჩიქ-ჩიქ-ჩიქ — ხელად გაჩნდებოდა სოფელში. მართალია, აქამდე მატარებლით არ უმგზავრია, მაგრამ ტრამვაიში ხომ მჯდარა, ტრამვაისა და მატარებელს შორის დიდი განსხვავება როდია.

ერთხელ ტრამვით მარტოდმარტო იმგზავრა, თანაც მაშინ სულ პაწაწინა იყო — ორი წლინახევრისა. დედამ წუთით ეზოში სათამაშოდ გაუშვა. ბიჭს უცებ მამა მოენატრა. ან რა გასამტყუნია — ყველა კარგ ბიჭს უნდა უყვარდეს და ენატრებოდეს მამა. თანაც კახას ისეთი კარგი მამა ჰყავს, ისეთი კარგი, რომ...

მოენატრა მამა და ბევრიც აღარ უფიქრია, ქუჩაში გავიდა, ტრამვაიში ჩაჯდა და გაემგზავრა. ტრამვაიში ბევრი ხალხი იყო, ერთი ნაცნობიც ვერ შეამჩნია. ცოტა შეწუხდა, მგონი ცრემლიც მოერია. არ გეგონოთ, იტირა. ვაჟკაცები ასე იოლად როდი ტირიან! უბრალოდ, როცა ვიღაც ძიამ ჰკითხა, სად მიდიხარო, თავი ვედარ შეიკავა და აცრემლდა.

რატომ გეცინებათ? მის ადგილას აცრემლდებოდით კი არა, კარგა-



დაც აღრიალდებოდით. აბა წარმოიდგინეთ, რაც ტრამვაიში ხალხი იყო, ყველა კახას შეეხოვნება და დაუწყებს: სად მიდიხარო, რა გვარი ხარო, ვინ ხარო, სად ცხოვრობო...

კახა ზრდილობიანი ბიჭია. იცის, უფროსი რომ გეკითხება, თავაზიანად უნდა უპასუხო. ამდენ შეკითხვას ერთბაშად პასუხს როგორ გასცემდა? შეეშინდა, უკმეხობა არ დამწამონო და ატირდა.

მერე ძია მილიციელიც მოვიდა. კახას სულაც არ შეშინებია მისი. როცა მილიციელმა მისამართი ჰკითხა, თამამად უპასუხა:

— ენციკლის ქუჩა, ნომერი ხუთი, მესამე სართული, ბინა ნომერი ორი...

მამ რა გეგონათ, განა ისეთი პატარა იყო, თავისი მისამართი არ სცოდნოდა?

სახლში ძია მილიციელის თანხლებით მიბრძანდა.. დედა ატირებული დახვდა. რა დასაძალია, კახამ უსაყვედურა კიდევ დედას:

— რა გატირებდა? ცოტა გავისეირნე. მერე ძია მილიციელთან ერთად ნაყინი ვჭამე. ტირილით სულაც არ მიტირია.


ო, როგორ გაუკავრდა დედა! მანანამ ცემაც კი დაუპირა. სულ რაღაც ხუთი წლით უზნესია და თავი დიდი ჰგონია, უფროსობს. კიდევ კარგი, მამამ გადაარჩინა. მამაკაცებს მაინც უფრო კარგად ესმით ერთმანეთის. სეულში ბურთივით აათამაშა, თანაც იცინოდა, ჩემს მოგზაურ ბიჭს დამიხედეთო. ჰოდა, ასეთ მოგზაურ ბიჭს სოფელში წასვლა გაუჭირდებოდა? მაგრამ ვინ გაუშვია?!


როგორც იქნა, დამთავრდა სწავლა. მანანამ სულ ხუთიანები მიიღო. მამას ძალიან, ძალიან გაუხარდა. საჩუქრად უზარმაზარი თოჯინა უყიდა. მანანას რომ ჰკითხოთ, სულ იმას ტრამბაზობს, დიდი ვარო! თოჯინებით კი პატარა ბავშვივით ერთობა. აბა თოჯინა რა სათამაშოა! კახას ერთი პატარა ავტომანქანა ათას თოჯინას ურჩევნია.

უსაჩუქროდ არც კახა დარჩენილა. მამამ ორი გაწყობილი ანკესი უყიდა. სოფელში პატარა მდინარე ჩამოდის, წყალწითელა ჰქვია. მდინარე პატარაა, მაგრამ თევზი ბევრი იცის. ო, რამდენ წვერასა და კალმასს დაიჭერს ამ ზაფხულზე! ვინ იცის, იქნებ ღლავიც დაიჭიროს, დიდი, ორფუთიანი ღლავი.



中華民國
國家圖書館





დედა სულ ბუზღუნებს — ამოდენა ჭოკებს რა ათრევს, ლერწამს სოფელშიაც ვიშოვითო, მაგრამ კახას არაფრის გაგონება არ უნდა. სოფელში წასვლამდე ერთ ხანს წვიმიანში, ასფალტზე დასდგარ გუბეებში სცადა თევზაობა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ვერაფერი დაიჭირა. როგორც ეტყობა, თევზებს არ უყვართ წვიმის წყალი. წყალწითელაში კი, იცოცხლე, ითევზავებს! ერთი ჩქარა ჩავიდოდეს.

თუმცა დიდი დრო აღარ დარჩა. ჩემოდნები და ხელჩანთები უკვე ჩალაგებულა. მანანას დედოფალა ჩემოდანში იოლად მოათავსეს. კახას ბურთს კი საშველი არ დაადგა. სად არ სცადა ჩაეჩარა, მაგრამ ვერსად ჩაატია. ბოლოს გაბრაზებულმა დედამ სხვენზე შეუგდო. კახამ ცოტა წაიჭირა, მაგრამ მამა დაჰპირდა, სოფელში ახალ ბურთს გიყიდით და კახაც მყისვე დამშვიდდა. იცის, მამა სიტყვის კაცია. რაკი თქვა, უყიდის კიდევ.

ახლა დამეა. კახა თვალდახუჭული წევს და ოცნებობს სოფელზე -- ტყეზე, მთებზე, მდინარეზე.

ხვალ სოფელში მიდის.

დედა ფათეხაბავით დაიწყო

მამა სოფლად არ წაჰყოლიათ. კახას ეს ძალიან, ძალიან ეწყინა, მაგრამ მამა დაჰპირდა, მალე ჩამოვალ და ბურთს ჩამოგიტანო.

მატარებელი მთლად ტრამვაის არ ჰგვანებია. ბევრი დიდი ვაგონია და ამდენ ვაგონს ერთი ელმავალი მიაქროლებს. წარმოგიდგენიათ, რა ღონიერი ელმავალი უნდა იყოს?!

კახაბერს სულ ფანჯარაში ჰქონდა თავი გაყოფილი. დედა ჯავრობდა, გაცივდებო. ჩამოსვამდა ძირს, მაგრამ მოხედვასაც ვერ მოასწრებდა, რომ კახა ისევ სარკმელზე იყო მიტოტებული. ბოლოს დედა გაჯავრდა და სულ ჩაიქნია ხელი. ბიჭსაც მეტი რა უნდოდა!

თავდაპირველად სადაც კი მთას, ტყეს ან მდინარეს დაინახავდა, ეგონა, უკვე ჩემს სოფელში მივედიო. მაინც რამდენი მთა, ტყე, მდინარე და მდელიო ყოფილა ამ დალოცვილ საქართველოში.

— დედა, ეს არის გელათი? — კითხულობდა ბიჭი.





მერე ნამეტანი მომრავლდა მთები და მდინარეები. გელათე, კი პაჭული
და არ ჩანდა. კახაშ ლამის სულ დაკარგა იმედი.

მართლა, კინაღამ დამავიწყდა, კახა ყველაზე მეტად წიფის გვირაბმა
გააოცა. შეგრიალდა ეს ამოდენა მატარებელი მიწისქვეშეთში და, ვინ იცის,
რამდენ ხანს მიგუგუნებდა. ისეთი სიბნელე იყო, ისეთი სიბნელე, რომ ვა-
გონში ელნათურები აანთეს. დედამ უთხრა, გვირაბი მთის გულშია გა-
თხრილი, მთაზე ტყე შრიალებს და ადამიანები დადიანო. დედა მასწავლე-
ბელია და ყველაფერი იცის, მაგრამ კახა ცოტათი მაინც ეჭვობს. მამა რომ
ჩამოვა, შეეკითხება, ასე აჯობებს.

ბოლოს მატარებელი ერთ პატარა ბაქანთან შედგა.

— აბა, ჩავიდეთ, ეს არის გელათი! — თქვა დედამ.

დედამ და მანანამ ბარგი აიღეს, ვილაც ძიებიც წამოეშველნენ. კახამ
ანკეცებს დაავლო ხელი და უმალ ბაქანზე გაჩნდა.

იცოდა, ბიძაშვილები უნდა დახვედროდნენ — გოგი და გულიკო. ჯერ
არც ერთი არ ენახა, მაგრამ იმედი ჰქონდა, იცნობდა.

— კახაბერი ჩამოსულა, კახაბერი! — ვილაც გოგონამ ბიჭი ხელში
აიტაცა და ჩაკოცნა. მალე გოგიც იქვე გაჩნდა და ახლა კახამ მის მკლავებ-
ში გადაინაცვლა. ცოტა ეწყინა კიდეც, რა პატარა ბავშვივით ამიყვანესო,
მაგრამ ახლად გაცნობილ ბიძაშვილებს ხომ არაფერს აგრძნობინებდა!

— ხელად გიცანით, შენ გულიკო ხარ, შენ — გოგი. ხომ მაშინვე გი-
ცანით? — არ ისვენებდა კახა.

დატვირთულები შეუყვინნენ აღმართს. მათი სახლი ბაქნიდან საკმაოდ
შორს იყო. ორი მთა და ერთი ტყე ჰქონდათ გადასავლელი. ყანა, ვენახი,
ბაღი, მინდორი ვინ იცის, რამდენი.

მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ.

გულიკო დიდი გოგოა. მეთერთმეტე კლასში გადავიდა. ნიშნები ვერ
აქვს მაინცდამაინც სატრაბახო, სამიანებიც ურევია თურმე. აი, გოგი მეს-
მის! მერვე კლასში სულ ხუთიანებით გადასულა. თუმცა კახას ეს არც გა-
ჰკვირვებია, რაც უნდა იყოს, კაცი მაინც სხვაა და ქალი სხვა.

კახა ყველაზე წინ მირბოდა, სულაც არ დადლილა.

უცებ რაღაც პატარა ვარდისფერ ცხოველებს წააწყდა, გზის პირას
რუ მორაკრაკებდა, წყალში დაღრუჩუნობდნენ.

— დედა, დედა, გოგი! — ატეხა ყვირილი ბიჭმა. — მოდიო, ნახეთ, რამოდენა ფისოები! — რუისპირას ჩაიჩოქა და ცხოველებს ალერსი დაუწყო, — ფისო, ფისო, ფისო!..

ხმამალალმა ხარხარმა გამოარკვია. ყველანი გულიანად იცინოდნენ. დედაც, მანანაც, გულიკოც, გოგიც.

— რას ამბობ, შვილო, ეს ფისოები კი არა, გოჭებია, — განუმარტა დედამ.

— გოჭები? — ჩაიბუზღუნა კახამ. — ჰო, ვიცი, გოჭებია... ისე ვხეჭვი, თინა ბიცოლას ფისო გამახსენდა.

ერთი გაქუცული ფისო სოფელშიც ჰყავდათ, მაგრამ კახას ჯერ არ ენახა.

შერე ანკესჩაბღუჯული სირბილით დაწინაურდა. ძალიან ენანებოდა გოჭებისათვის თვალის მოცილება, მაგრამ რა ექნა, დაცინვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

ისე, საუხერხულო არაფერი იყო. კახას ხომ არასოდეს არ ენახა ცოცხალი გოჭი. თუ ზოოპარკში არ ყოფილხართ, ქუჩაში შემთხვევით ზებრა რომ ნახოთ, პატარა ცხენი გვეგონებათ.

მაგრამ ფათერაკები ამით როდი დამთავრდა.

მგზავრები ძალიან დაილაღნენ და ის-ის იყო, რცხილის ჭალაში აპირებდნენ შესვენებას, რომ კვლავ კახას ძახილი შემოესმათ:

— დედა, გოგი, ნახეთ რამოდენა გოჭი!

აბა სიცილი 'მაშინ გენახათ! მაინც რა უცნაური ხალხია ეს მოზრდილები. პატარა ბავშვმა რომ უადგილოდ გაიცინოს, ერთ ამბავს დააწვევენ, თვითონ კი ყველაფერზე იცინიან. კახას ლამის იყო ცრემლი მოერიდა, მაგრამ დედამ აკოცა და დაამშვიდა.

— არა, შვილო, ეს გოჭი კი არა, ხბოა.

— ბოო? მე კი გოჭი მეგონა.

— ბო კი არა, ხბო, — შეუსწორა მანანამ. ნეტა იმ მეტიჩარას მაინც ვინ ეკითხებოდა?

კახას შერცხვა. ძალიან, ძალიან შერცხვა. სახლამდე 'მთელი გზა ისე გაიარა, ხმა აღარ ამოუღია, თუმცა იმდენი საოცრება ნახა, თავს ძლივს იკავებდა.

შინ მარტო ბებო დახვდათ. ბიძია და ბიცოლა კოლმეურნეობაში სამუშაოდ წასულიყვნენ.

ბებოს დანახვა არ გაჰკვირვებია. მართალია, აქამდე არც ბებო ენახა. მაგრამ ბებო ყველა ერთნაირია. კოტიკოსა და დათოს ბებოს ზომი იცნობდა. კახას ბებოც მასავით თეთრთმიანია, მასავით შავი კაბა აცვია, კაბაზე დიდი ჯიბეები აკერია. ეს ჯიბეები ყველაზე მთავარია, რომ იცოდეთ. ერთი თვალის შევლებით შეამჩნია კახამ, რომ ჯიბეებში დიდი წითელი ვაშლები ეწყო.

ბებო გადაკოცნა, მოძღვნილი ვაშლი გაჭირვებით ჩაიტენა მოკლე შარვლის ჯიბეში და ალაგეზე გადააბიჯა. გადააბიჯა და გაოცებული შეჩერდა: ეზოში შავი, მაღალი, წითელ ჩინჩახვვაბერილი ინდაური დააბიჯებდა და გაფხორილი „ყურლუმ-ბურლუმს“ იძახდა. არა, ქათამი როგორ არ უნახავს კახას, მაგრამ ასეთი ქათამი აქამდე არ შეჰხვედრია. აპირებდა დედისათვის ეკითხა, მაგრამ თავისი შეცდომები გაახსენდა, ბევრი აღარ უფიქრია და ახლად გაცნობილ ბებოს გასძახა:

— ბებო, მოდი აქ!

მოხუც ბებიას დედამ დაასწრო მოსვლა.

— რა გინდა, შვილო?

— შენ წადი, ბებო მოვიდეს.

მოვიდა ბებოც.

— ბებო, დაიხარე.

ბებო დაიხარა და ყური კახას ტუჩებს მიუახლოვა, რომ ჩურჩულთ ნათქვამი გაეგონა. აბა რა ექნა, რაც არ უნდა იყოს, ბებო მოხუცია და ყურში თქვენსავით კარგად აღარ ეყურება.

— ბებო, ეს წიბა-წიბაა? — შეეკითხა კახა და გაფხორილ ინდაურზე მიუთითა.

კიდევ კარგი, ბებოს არ გასცინებია. დინჯად აუხსნა შვილიშვილს, ეს „წიბა-წიბა“ კი არა, ინდაურიათ.

ასეთი კარგი ბებო ჰყავს კახას.

მაგრამ საიდანლაც ეს ამბავი დედამაც გაიგო, გულიკომაც, მანანაშაც, გოგიმაც და დიდხანს იცინოდნენ.

ნეტავ ვინ უთხრა?

— კახა, ხვალ დილით წისქვილში მივდივარ. ანკესები შრომზადე და სათვეზაოდ წაგიყვან, — უთხრა მეორე საღამოს გოგამ.

ბიძინა ბიძიამ ნალიიდან სიმინდი გამოიტანა. აივანზე დაყარეს და საფშენელად მიუსხდნენ. აავსეს ერთი კოდი, მეორე. 'მერე თქვეს, გოგი მეტს ვერ ზიდავსო, ტომარაში ჩაყარეს, თავი მოუკრეს და დასაძინებლად დაწვნენ.

კახას ეგონა, მთელი ღამე არ დამეძინებო, მაგრამ როგორც კი ბალიშზე თავი დასდო, ჩათვლიმა. ან როგორ არ ჩაეძინებოდა — ჭრიჭინები განუწყვეტლივ აჭრიჭინებდნენ თავიანთ ჭიანურებს და ბიჭს იავნანას უმღეროდნენ. მერე ჭრიჭინები მიყუჩდნენ. სამაგიეროდ, დობიროში ვასაკებმა ატეხეს გაუთავებელი „ყუა-ყუა“... ხანდახან ღამის მყუდროებას შუკაში ჩავლილი შეგვიანებული მგზავრის ფეხის ხმა არღვევდა. მეზობლის ძაღლი აყეფდებოდა და ერთ ხანს თავს იქცევდა უძილობით შეწუხებულ... ო, მეზობელს ისეთი ავი ძაღლი ჰყავს! კახას მურას როდი ჰგავს. მურა ბებერია, ღამით კი არა, დღისითაც ვერ დგება ფეხზე. საწინახლის ქვეშ თექაზე მიეგდება და სძინავს და სძინავს.

რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც გიამბობთ, როგორ წაიჩხუნენ მურა და კახა. ბიჭს ძალიან მოეწონა დიდი, ბომბორა, ბებერი ძაღლი. სულ მასთან უნდოდა თამაში. მურა ერთ ხანს დასდევდა, მაგრამ მალე იღლებოდა და თვლენა ერეოდა. გასაკვირი არ არის, აგერ-აგერ თექვსმეტი წლისა ხდება. თექვსმეტი წელი კი ძაღლისთვის ძალიან ღრმა სიბერეა. ჰოდა, დაღლილი მურა ხის ძირში მიწვებოდა, მაგრამ ვინ აცლიდა დასვენებას! კახა ხან ბალახს შეუჩიჩხინებდა ცხვირში, ხან პანტურა ყურებს უსრესდა, ხანაც კუდში ხელს ჩაავლებდა და მინდორზე დაათრევდა.

უთმინა მურამ, უთმინა, ველარ მოითმინა და ღრენით ეძგერა... მართლა კი არ უკბენია, ჭკვიანი ძაღლები პატარა ბავშვებს როდი კბენენ, მაგრამ კახას ეგონა, მიკბინაო. იყვირა, მაგრამ რა იყვირა:

— მიშველეთ, მურამ ფეხი მომჭამა!..

გამოცვივდნენ დედა, ბებო, ბიძია, ბიცოლა, მანანა, გოგი, გულიკო... კახა ყვიროდა და ყვიროდა, ღამის მამას გააგონა თბილისში.

დაბანეს მოთხუბნილი ბიჭი, უნახეს ფეხი და, რა საკადრისია, განაკაწრიც კი არსად აჩნდა.

შერცხვა კახას, მაგრამ უფრო მეტად მურას შერცხვა. იმ დღის შემდეგ თვალს ველარ უსწორებდა მეგობარს, თუმცა ერთად თამაში არ მიუტოვებიათ. არც კახას მიუტოვებია მისი წვალება. მურაც სამაგიეროს უხდოდა. განთიადისას ფეხაკრეფით აძვრებოდა აივანზე, ჩაებლაუჭებოდა კახას საბანს და მიათრევდა. თუ ბიჭს არ გაედვიძებოდა, გაბრუნებული მივიდოდა და ერთი ორჯერ თათს მოუნაცვლებდა ცხვირში.

იმ დღითაც მურამ გამოაღვიძა. ბევრი დავიდარაბა არც დასჭირვებია, თათის წაკარებისთანავე ბიჭი ფეხზე წამოხტა და ყიჟინა დასცა:

— გოგი, გათენდა, დაგვაგვიანდა!

მთელი ოჯახი ბუზღუნით წამოიშალა ფეხზე. ადგნენ ამ სისხამ დილით და ნაკადულისკენ გაეშურნენ პირის დასაბანად.

გოგიმ, მანანამ და კახამ სახელდახელოდ წაიხემსეს, ცოტა რამ წაისაგზლეს კიდევ და წისქვილისაკენ გაეშურნენ.

კახაბერს ანკესები მხარზე კომბალივით გადაედო, მიდიოდა და მიიმღეროდა.

გზა-გზა ხვდებოდათ გოჭები, ხბოები, ინდაურები. კახას უკვე აღარ აკვირვებდა მათი დანახვა.

ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, მალე წყალწითელაც გამოჩნდა.

მდინარეში თავთხელი მოძებნეს. კახამ და მანანამ სათევზაო ადგილი შეარჩიეს, ჩამოსხდნენ და ანკესების გამართვას შეუდგნენ.

გოგიმ ბავშვებს დაუბარა, ჭკუით იყავით, აქ ითევზავეთ, მე მალე დავბრუნდები. მერე შარვლის ტოტები აიკარწასა, საფქვავეი ზურგზე მოიგდო და ფშანში გატოპა.

— ჯერ ჭიაყელები მოძებნოთ, — თქვა მანანამ.

— ჭიაყელა რად გინდა? — გაიკვირვა კახამ.

— ანკესზე უნდა წამოვაგოთ, მერე ანკესი წყალში გადავისროლოთ, დაჯვდეთ და ველოდოთ. თუ ტივტივა წყალში ჩაიძალა, მამასადამე თევზი წამოედო. უცებ უნდა ამოკრა ხელი და ნაპირზე ამოაგდო.

— რას ამბობ, — დიდი კაცივით ჩაიცინა კახამ. — ჭიაყელებს რომ



ჭამს, ისეთი თევზი თქვენ გქონდეთ, ბატონო. ჭიაყელებითა და ხოჭოებით
ნასუქი თევზი კიდევაც რომ დავიჭირო, რად მინდა!

მანანას გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— აბა რას აპირებ?

— ეს მე ვიცი, — დინჯად უპასუხა კახამ. ჯიბიდან მოზრდილი ყვი-
თელი გულაბი ამოიღო და გულიანად ჩაკბიჩა. პირველი ლუკმა ვერ გაი-
მეტა, ვერც შუორე. მხოლოდ მესამე ლუკმა წამოაგო ანკესზე და წყალში
გადაისროლა.

რამდენი უმტკიცა მანანამ და მერე გოგიმ: თევზს ჭიაყელა უყვარს,
ტკბილ მსხალს სულაც არ გაეკარებაო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რაკი
ერთხელ შეჟდა ჯორზე, ჩამოსტომა აღარ ინება: მე ისეთი თევზი მინდა,
მხოლოდ ხილით რომ იქნება ნასუქით.

ჩამოჟდა მურყანის ძირას და შეუდგა ლოდინს.

გავიდა ერთი საათი, ორი...

მანანას მოსწყინდა, მინდვრად გაინავარდა, წითელ-ყვითელი ყვავი-
ლები დაკრიფა, გვირგვინი დაწნა, ყელზე ჩამოიკიდა და პეპლებს დაუწყყო
ღეფნა.

გოგიმ ერთ ხანს იბანავა, მერე ალექსი ექიმს ცხენი ჩამოართვა,
დაარწყულა, დაბანა, სამუნელით დავარცხნა. სამაგიეროდ ექიმმა ნება
დართო, ცხენზე შემჯდარიყო და წყლის პირას გაესეირნა.

გავიდა კიდევ რამდენიმე საათი.

საფქვავე უკვე ჩამოთავდა. ფშანს კოჭლი შეწისქვილე გერასიმე
მოადგა და გოგის გამოსძახა: გამოდი, ფქვილი წაიდეო.

ფქვილიც გამოიტანეს, ყვავილების დიდი თაიგულიც შეკრეს, წა-
სასვლელად მოემზადნენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, კახაბერი ფეხსაც
არ იცვლიდა.

— გათენებამდე რომ აქ ვიჯდე, არ წამოვდგები, სანამ ერთ პატარა
წვერას მაინც არ დავიჭერო.

ბევრს ეხვეწნენ, გაუჯავრდნენ, დაეშუქრნენ კიდევც, თუ არ წამოხვალ,
მარტო დაგტოვებთ, ღამით წყლიდან მგლები ამოვლენ და შეგჭამენო.

ასეთ მუქარაზე კახამ მხოლოდ გაიცინა და დინჯად განუმარტა დასა

და ბიძაშვილს: წყალში მხოლოდ თევზები და კიბოები ცხოვრობენ, მათ
აღამიანის შეჭმა არ შეუძლიათ.

ისე, მეგობრებო, კახა მთლად მართალი როდი იყო. ზღვებსა და
ოკეანეებში ისეთი თევზებიც ცხოვრობენ, რომელთაც აღამიანის შეჭმა
სულაც არ გაუჭირდებათ, მაგრამ წყალწითელაში ასეთი თევზი, რა-
საკვირველია, არ არის.

ასე იყო თუ ისე, არაფერმა გაჭრა.

მაშინ გოგი მანანას მოეთათბირა, მდინარე გატოპა, მეწისქვილეს
გაფიცხებული მჭადივით ხმელი ტარანა თევზი გამოართვა და უბეში და-
მალა. აქეთობას სწორედ ანკესთან გამოტოპა. მანანამ კახა შეიტყვია, გოგიმ
კი თევზი ანკესს წაშოაგო და წელქვევით გაწუწულმა ნაპირზე ამოალაჯა.

ტივტივა რომ წყალში ჩაიმალა, კახას სიხარულით გული კინადამ
გაუსკდა. ანკესის ტარს ხელი ჰკრა და ჩამავალ მზის სხივებზე ოქროსფერი
ტარანი აკიაფდა.

— აჰი მსხალს არ ჭამსო! — ნიშნისმოგებით იკითხა ბიჭმა.

მანანამ ღიმილი შეიკავა.

— დავიჭირე, დავიჭირე! — სახლამდე არ შეუწყვეტია გამარჯვების
ყიჟინა კახას.


შინ არავის გაჰკვირვებია, კახამ მდინარეში ხმელი თევზი რომ დაი-
ჭირა, მაგრამ ის დღე იყო და ის დღე. გოგიმ გადაჭრით განაცხადა უარი
კახაბერის სათევზაოდ წაყვანაზე... არც არის გასამტყუნი, აბა გერასიმე
მეწისქვილეს ხმელი თევზი რომ არ აღმოაჩნდეს, მთელი დამე წყალწითე-
ლას პირას გაჯიუტებული ბიძაშვილის გვერდით უნდა გაატაროს?

ერთი გოგონა სოკო

კვირას ნაშუადღევს გაწვიმდა. წვიმდა, მაგრამ რას წვიმდა! ცა ფე-
ხად ჩამოდიოდა. ქვარნის თავზე ღრუბელივით მოქურუშებული ტყე შავ
ნაბადწამოსხმულ დევს დაემსგავსა — შრიალებდა და იქორწებოდა, შრია-
ლებდა და იქორწებოდა...

პარგა შეღამებული იყო, კოლმეურნეობის კანტორიდან ბიძინა ბიძია





რომ ამოვიდა. ყურჩაყეცილი ტომარა თავზე ყაბალახივით წამოეხურა, შარვლის ტოტები დაეკარწახებინა, ფეხზე გაეხადა და ფეხშიშველი პირდაპირ გუბე-გუბე მოტყლაშუნებდა.

— ხვალ საუცხოო დარი იქნება, გაივსება ტყე სოკოებით, — თქვა ბიძიამ შინ შესვლისთანავე.

ბავშვები დაფაცურდნენ, გოგიმ კალათები გამოძებნა. ერთს ძირი გამორდევოდა. მანანა ტლაშატლუშით გავარდა წვიმაში, ჭიშკართან ტანმოსხრილ ტირიფს ტოტები შეამტვრია და მოარბენინა. მერე ჩასხდნენ ისა და გოგი და მთელი საღამო ერთი პატარა კალათის ძირის გამოწვანას მოანდომეს.

გულიკომ წალდი აიღო, გვიმრა ჩაჩეხა და ბუხართან გასაშრობად 'შიაფინა. არ იცით, გვიმრა რა საჭიროა? აბა სოკოები კალათში პირდაპირ რომ ჩაყაროთ, გზა-გზა ჯახაჯუხში ხომ ერთიანად დაიფშენება... ჩაუფენ გვიმრას, ჩააწყობ სოკოს და რამდენიც გინდა, არბენინე აღმართ-დაღმართ, კიდეც არ წაემტვრევა.

კახას ბარე ორჯერ უთხრეს, კალათი გაიმზადდო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაუპარტყუნებია, დაცინვით ათვალიერებდა პაწაწინა კალათებს, ამაში რა სოკო უნდა ჩაეტიოსო. ცოდვა გამხელილი სჯობია, გულის კანკალით ელოდა წვიმის გადაღებას. საათში ოცდახუთჯერ მაინც გამოირბენდა აივანზე, დადგებოდა და მიაჩერდებოდა მოქურუმებულ ზეცას, მაგრამ სასიკეთო პირი არაფერს ეტყობოდა. ეს ოხერი ტყეც რომ შავი დევივით ბუზღუნებდა? — შრიალებდა და იქოჩრებოდა, შრიალებდა და იქოჩრებოდა...


— ამ ტყეში სოკო რომც ყოფილიყო, ასეთ თავსხმაში უკანვე, მიწაში ჩაძვრებოდა! — დიდი კაცივით ჩაიქნია ხელი კახამ და ბუხართან მოიკალათა.

— არა უშავს, ხვალ მზიანი დღე იქნება, ნაწვიმარი მიწას არც დააჩნდება, — დაამშვიდა ბიძინა ბიძიამ.

სხვას რომ ეთქვა, კახა არ დაიჯერებდა. ან რა დასაჯერებელია, თავსხმა ქვეყანას აქცევს და ამ დროს გარწმუნებენ, ხვალ მზიანი დილა გათენდებაო. მაგრამ ბიძინა ბიძია ომში ნამყოფია, ჭრილობაც აჩნია. კა-

ՀԱՅԿԵՆԻ
ՊԵՏԱԿԱՆ





ხამ თავისი ხელით მოსინჯა ნატყვიარი მხართან. მოდი და ახლა ასეთ კაცს
ნუ დაუჯერებ!

ისე აციხდათ ყველაფერი კარგი.

არა, მიწას ნაწვიმარი, იცოცხლეთ, აჩნდა. წითელ ტალახში შიშველი
ფეხები კოჭებამდე ეფლობოდა. აქა-იქ გუბეებიც იყო დარჩენილი, მაგრამ
ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა. ტყე მწვანედ გამოიყურებოდა, გუ-
შინდელი სიმკაცრის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა.

ალიონზე ყველანი გზას გაუდგნენ. წინ ბიძინა ბიძია მიუძღოდა,
ხელში საკმარად მოზრდილი კალათი ეჭირა. შემდეგ თავთავისი შესაფერი
კალათებით მიჰყვებოდნენ — გულიკო, გოგი, მანანა, ათული...

ჰო, მართლა, ათულის თქვენ არ იცნობთ. იგი თამარა ბიცოლას ძმის-
წულია, ქუთაისში ცხოვრობს, მამიდაშვილებთან სტუმრად ჩამოვიდა.

ვერ გაიგეთ?... რა არის გაუგებარი? კახას ბიძაშვილები ათულის მა-
მიდაშვილები არიან.

კახას ძალიან უყვარს ათული. ერთი კია, უკვირს, ნამდვილი სახელი
ავთანდილი ჰქვია და ეს ათული რაღააო. კახას ხანდახან იმაზეც მოსდის
გული, კახაბერს რომ არ ეძახიან. აბა ავთანდილი რომ ერქვას, ვის გააბე-
დინებს სხვა სახელის დაძახებას.

ათულის შემდეგ კახა მიდიოდა. არა, კახას წინ-წინ სირბილი უფრო
უყვარს, მაგრამ ამჯერად შეტისმეტად მძიმე ტვირთი ეკიდა ზურგზე და
ამიტომაც ჩამორჩა. რა ტვირთი იყო? გეტყვით, აბა რა: რა იყო და...
ახალთახალი ნედლი გოდორი. თან პატარა კი არა, ასე, ორ ფუთამდე სი-
მინდი ჩაეტეოდა შიგ.

რამდენი ეხვეწნენ: არ გინდა, ბიჭო, ეგ გოდორი, მაგის გასაგებები
სოკო ჩვენს ტყეში სად იქნებაო, მაგრამ ასე იოლად დაიჯერებდა? თქვა:
ვიცი, იქნებაო, და გაიტანა თავისი — მოიგდო ზურგზე ამოდენა გოდორი
და ხვნეშა-ხვნეშით გაჰყვა ბილიკს.

ბიძინა ბიძია გაჯავრდა:

— რაკი ჩვენი არა სჯერა, თვითონ ათრიოს გოდორი, ხელიც არვინ
შეაშველოთო.

ძალიან გაუჭირდა კახას, მაგრამ როგორ შეიმჩნევდა, პირიქით, როცა
ათულიმ გოდორი ჩამოართვა, ცოტა იწყინა კიდევ: ხომ არ გგონია, დავი-

დალეთ. თუმცა მაინცდამაინც არ გასძალებია. ათულის უცებ რომ გადაეფიქრებინა, რაღა ექნა მაშინ? რიყის ქვასავით დამძიმებულ გოდორს ტყეში ხომ არ მიატოვებდა?

გზა მილისწყაროს მინდორზე გადაჭრეს. ტვაპსა და საქარაფეთს გვერდი აუქციეს და ღვინეფთულის ტყეში შევიდნენ.

— ო, თქვენ რომ იცოდეთ, რა სანახავია ღვინეფთულის ტყე! უზარმაზარი მუხები მხარმკლავგაბორჩხილები დგანან, თითქო ტყის დარაჯად დაუყენებიათო. შემდეგ რიგით მოჰყვება რცხილა, იფანი, ნეკერჩხალი, წაბლი... მხოლოდ ეს არის, ნაძვს ან ფიჭვს ვერსად წააწყდებით. საერთოდ, წიწვოვნები გელათის ტყეებში არ ხარობს.

პირველი სოკო გოგიმ დაინახა. ძალიან დიდი, თეთრი არყა იყო. ზედ გზისპირას ქოლგასავით გაშლილიყო. ყველას გაუკვირდა, რატომ ჩვენ ვერ დავინახეთო. ბიძინა ბიძიამ ისე ახლოს გაუარა, ფეხი კინაღამ დაადგა. მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ბედია.

მეორე სოკოც გოგიმ აღმოაჩინა — მუქი ყავისფერი ჭეჭკეჭა. წაბლის ძირში, შარშანდელ ჩაყვითლებულ ნეშოში შემალულიყო.

შემდეგ მიჰყვა და მიჰყვა...

რა არ ნახეს — ნაკვერცხლებივით აღუებული წიფლუები და კიდებშემობზარული თეთრი სავარცხელები, ორშიმოში ჩაძველებული ღვინისფერი ღვინუები, ყვითელი ქარვასავით კამკამა მელისკუდები...

მართალია, მანანას ყველაზე ცოტა სოკო ჰქონდა კალათში, მაგრამ ერთ წამოქცეულ რცხილის ძირას ოთხ ისეთ დიდ მტრედუას წააწყდა, რომ ყველას შეეხარბა. ბიძინა ბიძიამ თქვა, ერთი კარგი მტრედუა ათას არყას მირჩვენია, ძალიან გემრიელი სოკოაო. ამის გაგონებაზე გოგიმ და ათულიმ ხმა გაკმინდეს, მათ ხომ კალათები არყით ჰქონდათ ავსებული. მანანა კი დომნა ბებიას ინდაურივით გაიფხორა.

მხოლოდ ორი კაცი იყო გულდაწყვეტილი — ბიძინა ბიძია და კახაბერი. ერთი რაა, წამლად ერთი ცალი არყა, თუნდაც დაჭიანებული არყა მაინც ეპოვა, რომ თავის ვეებერთელა გოდორში ჩაეგდო. რაღა პირით გამოჩნდეს ახლა სოფელში?

ერთი ორჯერ გოგიმ და ათულიმ სცადეს რამდენიმე სოკო შეეჩერები-

ხათ ხელში, მაგრამ კახამ ძალიან იწყინა. სამოწყალო რა მჭირს, ვისზე ნაკლები ბიჭი ვარო!

აკი ვთქვით, ყველაფერი ბედია! ბავშვებმა თითქმის რეს კალათები. ბიძიას და კახას კი საშველი არ დაადგათ. ბიძიან ბიძიამ სადაც ერთი სოკო იპოვა — დიდი, სქელი, კეცზე გამომცხვარი მჭადისოდენა. ფრთხილად აიყვანა და კალათში ჩადო, მაგრამ გოგი და გულიკო სიცილით დაიხრჩვენ — ეგ აყროლებული დედაბერა რა ეშმაკად გინდაო. ბიძიამ ჯერ მტკიცება დაიწყო: — ხეთში მოხრაკული დედაბერა შესანიშნავი საჭმელიაო, მაგრამ როცა ნაკაფში შეუხვიეს, ჩუმად დააპირქვავა კალათი და დედაბერა ფეხით მოსრისა.

კახა თავგამოდებით ეძებდა სოკოს. ყოველ ხის ძირას იჩოქებდა, ნეშოში ხელებს აფათურებდა, თავით ფეხებამდე ჩურჩხელასავით ტალახში ამოიგანგლა, მაინც არაფერი გამოვიდა. იქნებ ერთ ხანს კიდეც არ გაეტეხა გული, მაგრამ სწორედ იმ ბუჩქთან, სადაც მან ფორთხვით ყოველი მტკაველი მიწა მოსინჯა, გულიკომ ერთ ძირზე ამოსული სამი პატარა მიქლუა ნახა და საბოლოოდ გულგატეხილმა ბიჭმა ხელი ჩაიქინა... მორჩა, ამის შემდეგ სოკოს სახელსაც აღარ ახსენებს!..

ღვინეფთულის ტყეს მარჯვნივ შემოუარეს და დინჯი ნაბიჯით შინისაკენ იბრუნეს პირი. მზე საკმაოდ აცხუნებდა. ცოტა მოშივდათ კიდეც.

საგიშრეზე რომ ჩამოდიოდნენ, კახამ ჟოლოს ბუჩქები შეამჩნია, ბილიკიდან გადაუხვია და მწიფე ნაყოფს ჭამა დაუწყო. სხვებმა ცოტა დაბლა ჩაინაცვლეს და შეისვენეს.

კახას ჟოლო მოეწონა. აი, ეს კი მესმის, არც ხეების ძირში უნდა ძებნა, არც გოდრით თრევა. კრიფე და მიირთვი, კრიფე და მიირთვი!

ბუჩქს ნელ-ნელა გადაჰყვა. სახე ისე მოეთხუპნა, პატარა ციყუნისა დაემსგავსა. უცებ გადაწვა და — ტკაც!.. ჟოლოს ბუჩქი ძირში გადამიტვრა და ბიჭმა მეორე მხარეს, ეკლიანში მოადინა ტყაპანი.

ტკენით როგორ არ ეტკინა. გადანატენზე ნიდაყვი ჩამოკრა და კარგა ღრმად გაიფხაჭნა. ამას ვინ დაეძებდა. ეტყობა, შარშანდელი წაბლის ნაბერტყი დაეტოვებინათ ბავშვებს და ერთი ბუძგი წვივში შეესო. აბა, არ ეტკინებოდა?

მაგრამ ხმაც არ გაუღია. ტირილს რა აზრი ჰქონდა. გარშემო არავინ

ჩანდა. მისიანები საკმაოდ შორს იყვნენ და თუ ძალიან არ იღრიალებდა, ვერც გაიგონებდნენ. ამიტომაც ისევ ჩუმად ადგა, ბუძგი ბუზღუნით გამოიძრო, გაფხაჭნილ ხელზე სისხლი იელის ფოთლით მოეწმინდა და ირგვლივ მიმოიხედა.

მიმოიხედა და გაოცებისაგან პირი დაადლო.

პატარა მდელოზე, სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, უამრავი სოკო ჩანდა. ზოგი ძალიან დიდი იყო, ზოგი უფრო მომცრო. ყველა ისე წითლად ელავდა, კაცს ეგონებოდა, გარშემო უამრავი პატარა დროშები დაურჭვიათო. შიგადაშიგ რაღაც კვერცხისმაგვარი თეთრი ბურთულებიც გამოჩნდებოდა.

კახას გულმა აღარ გაუძლო და თავგატეხილივით აყვირა:

— ბიძია, გოგი, ათული, აქეთ, აქეთ! — გოგოების სახელი განგებ არ უხსენებია.

ყველანი შეშინებული მიცვივდნენ ბურქთან.

— რა მოხდა, ბიჭო, მანდ რას გადაბლოტებულხარ? — შეეკითხა ათული.

— რა უნდა 'შომხდარიყო, სოკოს ვეძებდი. აგერ წავაწყდი კიდევ ერთი ჩემი გოდორი მომაწოდეთ! — ისე წყნარად უპასუხა კახამ, ვითომ მართლაც დიდი არაფერი მომხდარიყოს.

— გოდორი მთართვით ბიჭს, — ჩაეცინა გოგის, — გოდორი არა, საწნახელი არ გინდა?

თქვა ეს, ბურქებს ზემოდან მოუარა და დაბალ მაყვლიანზე გადააბიჯა.

გადააბიჯა და ერთბაშად პირი კახასავით დაღებულნი დარჩა. სული ძლივძლივობით მოითქვა.

— მამა, ბავშვებო, სოკოწითელი, ნამდვილი სოკოწითელი, ნიყვიც უამრავია!

ყველანი ერთბაშად გადაცვივდნენ „კახას ნაკრძალში.“

რამდენს არ ეხვეწნენ, არაფერმა გაჭრა. ერთი სოკოც არავის ჩაადგინა კალათში. სათუთად დაკრიფეს სოკოწითელიც, ნიყვიც და გოდორში ჩაუწყვეს. ათულის სახვე გოდორის თრევით წელი კინაღამ მოსწყდა, მაგრამ ხმას ვინ გაიღებდა. პირიქით, კახაბერი გოგიმ გამარჯვებული სარდა-

ლივით შეისვა მზით გარუჯულ კისერზე და სირბილ-სირბილით ჩამოიყვანა შინ.

მთელი კვირა სულ სოკოზე ლაპარაკობდა. ყველას — სტუმარსა და მასპინძელს გულდაგულ უხსნიდა: მეორედ რომ წავალთ, უთუოდ ორი გოდორი უნდა წავიღოთ, თორემ ორიოდ კალათა სოკოსთვის თავის შეწუხებაც არ ღირსო.

სამწუხაროდ, იმ ზაფხულს მეტად აღარ 'შოუწია სოკოზე წასვლა, თორემ ორი დიდი გოდორი უკვე გამზადებული ჰქონდა.

როგორ გგონიათ, განა ვერ გააფხვებდა?

ბაგოა ბოლიში მოიხანა

ეს ამბავი ივნისში მოხდა. თქვენ აღბათ ყველამ იცით, რომ ყურძენი შემოდგომაზე მწიფდება. ახლა კახამაც იცის, მაგრამ იმ ზაფხულს არ იცოდა და ძალიან მწარედაც მოტყუვდა.

საქმე ის იყო, რომ მუზობელი სახლს იშენებდა და მთელი ოჯახი სახლის ხურვაზე მიიპატიჟა.

სახლის ხურვა ხომ იცით, რას ჰქვია? არა? არაფერია, ახლავე აგიხსნით. სახლის აშენების უკანასკნელ დღეს, გადახურვას რომ შეუდგებიან, მუზობლებს მოიპატიჟებენ, თან მოიხმარენ და თანაც სუფრას გაუშლიან, ახალ ჭერს, ეზო-კარს, ფუძე-საძირკველს დაალოცვინებენ.

ჰოდა, სახლის ხურვაზე ბიძია, ბებო, ბიცოლა, დედა და გულიკო მიიპატიჟეს. შინ მარტო გოგი, ათული, მანანა და კახა დარჩნენ. თუმცა კახას დარჩენას რა დარჩენა ეთქმოდა. აიკლო ყველაფერი: სახლის ხურვა არ მინახავს, გინდათ თუ არა, წამიყვანეთ, მეზობელს მეც მივეხმარებო... არაფერმა გაჭრა — არც ხეწინამ, არც თხოვნამ, არც გაჯავრებამ. თამარა ბიცოლამ წნელი მოტეხა და დაემუქრა, თუ არ გაჩერებულხარ, ახლავე კანჭებს აგიწვავო. კახას წარბიც არ შეუხრია. კარგად იცის, თამარა ბიცოლა ტყუილად ყვირის ხოლმე, კახუნის წკეპლისთვის როგორ გაიმეტებს!

ის-ის იყო ბიძინა ბიძიას უნდა ეთქვა: რაც არის, არის, წავიყვანოთო, მაგრამ ისევ დედამ მონახა გამოსავალი. იცოდა, კახას ყველაფერზე მეტად ყურძენი უყვარდა.

ՀԱՅԵՐԿՈ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ



— თუ დარჩები და ჭკუით იქნები, როცა დაგბრუნდები, ყურძენს მო-
გიტან, — უთხრა.

— მართლა მომიტან? — მუშტით მოიწმინდა ცრემლი, ბიჭვილი

— მეც მოგიტან, მეც მოგიტან, მეც! — ერთხმად გამოეხმაურნენ ბე-
ბო, ბიცოლა, ბიძია და გულიკო.

კახა ერთ ხანს დაფიქრდა და ბოლოს დათანხმდა. ან როგორ არ და-
თანხმებულყო. სახლის ხურვაზე იქნებ საინტერესოც არაფერი ყოფილი-
ყო, ყურძენი კი სულ სხვაა. თუნდა ცოტა მკვახეც იყოს, მაინც არა უშავს რა.

მთელი დღე ჭკვიანად იყო. სადამოსაც არ დაუწყია წუწუნი, თუმცა
უფროსებმა მოსვლა დააგვიანეს. წყნარად გაიხადა ტანზე, ფეხები და ხელ-
პირი დაიბანა, ლოგინში შეგორდა და ტკბილად ჩაიძინა.

დილით თვალი გააჭყიტა თუ არა, დედასთან გადაცოცდა, თმაში ხე-
ლი ფრთხილად ჩაავლო და შეანჯღრია:

— დედიკო, ყურძენი 'მომიტანე?

— უი, ბოდისი, გენაცვალე, სულ არ გამსხენებია, — ძილნარევი ხმით
უპასუხა დედამ და გვერდი იცვალა.

კახა ფეხშიშველი გამოტანტალდა ეზოში. თამარა ბიცოლა ძროხას
წველიდა. — ჩხრ-ჩხრ... — ჩაჩხრიალებდა რძის თეთრი წვიმა ქოთანში.

— ბიცოლა, ყურძენი მომიტანე?

— ბოდისი, შენ გენაცვალე, ყურძენი არ ჰქონდათ.

კახა ისევ აივანზე აძვრა და გულიკო მოძებნა.

— გულიკო!.. გულიკო!..

გოგომ გაჭირვებით გაახილა ნამძინარევი თვალები.

— გულიკო, ყურძენი მომიტანე?

— რაო? — დაბნეულად ჰკითხა ბიძაშვილმა.

— რა და ყურძენი! ხომ დამპირდი, 'მოგიტანო, — ძლივს იკავებდა
ქვითინს კახა.

— უჰ, ეს რა მომივიდა, ბოდისი, ბოდისი! — გულიკო კიდევ რაღა-
ცას ლაპარაკობდა, მაგრამ კახას ყური არ უგდია, კიბე ჩაირბინა და
ბოსტნისკენ წავიდა. ბოსტანთან სერზე უყვარდა ხოლმე ჯდომა კახაბერს,
როცა რაიმეზე გამწყრალი იყო. ახლაც ჩამოჯდა და ჩაფიქრდა: „განა
ტყუილი საკადრისია?“

სწორედ ამ დროს ბებოს მოჰკრა თვალი. ეტყობა, ხბო გაება საბალა-
ხოზე და ახლა სადილისათვის ბოსტანში ქინძსა და კამას კრეფდა. კახამ
ბოსტნის კარი შეაღო, ბებოს წინ დაუდგა და თითი პირში ჩაიღო.

— ადექი, ჩემო სიცოცხლე? — შეეხალისა ბებია.

— ბებო, შენც ბოდიში მომიტანე?

— რაო, შვილო, რისი ბოდიში?

— ბოდიში, ყურძნის მაგიერ. გუშინ ხომ დამპირდით ყურძენს?!

ბებოს ღიმილი ტურზე შეაშრა. სწრაფად გადმოვიდა ბოსტნიდან,
კალთაში ჩაკრეფილი ქინძი და კამა ძირს დაუცვივდა. კახამ აიღო მწვა-
ნილი და უკან გამოუდგა.

სერზევე მოუსწრო ბებომ, ხელში ორი დიდი მტევანი ეჭირა. შეყვით-
ლებული, ფოთლებშემშპარი, დამჭკნარი მტევნები.

— აჰა, შვილო, ყურძენი, ბოდიში, ცოტა შემჭკნარია, მაგრამ სამა-
გიეროდ უფრო ტკბილია.

ეს სულ სხვა ბოდიში იყო.

კახას გაუხარდა. ყურძენი მაინც სხვაა. თუნდაც ცოტა შემჭკნარიც
იყოს, მაინც არა უშავს რა. ბოლოს და ბოლოს, ცარიელ ბოდიშს ხომ
სჯობია.

როგორ გადარჩა პატა დამტყვევებს.

ხომ გახსოვთ, დომნა ბებოს გაქუცული კატა რომ ვახსენეთ?... მთლად
ისე როდია საქმე, დაცინვით ვთქვი, თორემ კატა სულაც არ არის გაქუცუ-
ლი. პირიქით, ძალიან ნაზი და ნაცრისფერი ბეწვი აქვს. სახელიც ისე-
თი რიხიანი ჰქვია — პანტელეიმონი!

ეს სახელი გოგამ დაარქვა. წყალგალმა, იამანიძეების უბანში ერთი
პანტელეიმონი ცხოვრობს, მჭედელია. სოფელში რა დაიმალება და იმის
ყურამდეც მიიტანეს ამბავი, დომნამ კატას შენი სახელი დაარქვაო. გა-
ცეცხლდა კაცი. ერთხელ ბებიას წყაროზე შეხვდა და გამარჯობაც არ
უთხრა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ როცა თოხების გამოსაპირად მისული
ბიძინა სამჭედლოდან უარით გამოისტუმრა, გადაწყვიტეს, კატისათვის

სახელი შეეცვალათ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერი გამოვიდა. რა სახელიც არ უნდა დაეძახათ, კატა ყურს არ იბარტყუნებდა...

პოდა, შერჩა ასე საბოლოოდ სახელი პანტელეიმონი.

კახა სოფელში ჩამოსვლისთანავე დაუმეგობრდა პანტელეიმონს. ბიჭის ხათრით მურა და პანტელეიმონიც კი შერიგდნენ, თუმცა, ჩემი აზრით, ეს შერიგება მოჩვენებითი იყო. კახასთან ორივენი წყნარად იყვნენ, მაგრამ საკმარისი იყო ბიჭს წამით აერიდებინა თვალი, რომ მურა კატას ღრენით მივარდნოდა. პანტელეიმონიც ტოლს არ უდებდა. საბრალო ძაღლს დღემდე ამჩნევია მისი კლანჭების კვალი ყავისფერ ცხვირზე.

ეს ამბავიც მათი ჩხუბით დაიწყო. პანტელეიმონმა კარგა მაგრად ჩამოკაწრა ცხვირ-პირი. მურა გაცოფებული გამოეკიდა; რომ დაეჭირა, ალბათ კარგ დღეს არ დააყრიდა. 'მით უმეტეს, ამ დროს კახა ნაელავზე ბრძანდებოდა, ნაქარ ვაშლს მიირთმევდა. მის მოსვლამდე მურა ბატონი პანტელეიმონის ბუნდლასაც არ დატოვებდა.

მაგრამ კატა რისი კატაა, თუ ეშმაკობაში ძაღლს არ აჯობა? ისარივით ავარდა ჭიშკრის თავზე, კრამიტის შემთბარ სახურავზე კრუტუნით მოიკალათა და ჩათვლიმა. მურამ ერთ ხანს ყეფით ურბინა გარშემო, თუ ვაჟკაცი ხარ, ჩამობრძანდი, აქ გავსწორდეთო, მაგრამ პანტელეიმონმა ყურიც არ შეიბერტყა. პირიქით, ჩამოჰკრუტუნა: თუ გული გერჩის, თვითონ ამობრძანდიო. ყველა კატამ იცის, რომ ძაღლები მალლა ვერ აძვრებიან, ამიტომაც გრძნობდა პანტელეიმონი თავს ასე თამამად.

გაბრაზებულმა მურამ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მაინც მოიფიქრა — ჭიშკართან ფეხი მოირთხა და კატას აჰყეფა: იმასაც ვნახავ, სად წამიხვალ, შენს ჩამოსვლამდე აქედან ფეხსაც არ 'მოვიცვლიო.

კიდევ კარგი, კახამ დროით მოირბინა. მოირბინა და ჭიშკრის თავზე მოკალათებული პანტელეიმონი დაინახა. ლამის გული გაუსკდა ბიჭს. იცით, რამოდენა ჭიშკარი აქვს კახას ეზოს? ძალიან, ძალიან დიდი. საწყალი კატა, იქიდან რომ ჩამოვარდეს, ალბათ სული არ დაჰყვება ძირს.

— გოგი, ათული, არიქა, მიშველეთ, კიბე მოიტანეთ, საწყალი პანტელეიმონი დაშტვრევას გადავარჩინოთ! — განწირული ხმით აყვირდა კახაბერი.

რამდენი არ არწმუნეს ბებომ, დედამ, ბიცოლამ... ერთი სიტყვით,

ყველამ, რომ კატა საიდანაც არ უნდა გადმოვარდეს, მაინც ფეხზე დადგება და არაფერს მოიწვევსო, მაგრამ როდი დაიჯერა.

მოარბენინეს კიბე, მიაყუდეს ჭიშკარზე. ახლა კატის დაჭერა არ ვინ-
და? ხან ერთ კიდეში გაცუნცულდება, ხან მეორეში. არც გოგის მიეკარა,
არც გულიკოს, არც მანანას, არც ათულის. ის იყო გაჯავრებული ბიცოლა
კიბის უკანვე წადებას აპირებდა, რომ კახამ გადაწყვიტა, თვითონვე ასუ-
ლიყო და პანტელეიმონს მიშველებოდა.

გადაწყვიტა და შეასრულა კიდეც.

თვითონ რას ავიდოდა იმხელა კიბეზე. ათულიმ მხარზე შეისვა და
ნელა, სვენებ-სვენებით აჰყვა ფალანგებს. მთლად ასული არც იყვნენ, რომ
პანტელეიმონმა ისკუპა და კახას მხარზე მოიკალათა.

მერე ასევე ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩამოვიდნენ ძირს. მურა
იქვე იდგა, მაგრამ კახას თანდასწრებით დედამისის შვილი იყო და ერთი
დაეწკმუტუნა.

ასე გადარჩა დამტვრევას კატა პანტელეიმონი.

მამა ჩამოვიდა

როცა ეს სათაური წაიკითხეთ, ალბათ გაიფიქრეთ, რომ მამა თავი-
სით ჩამოვიდა: მოათავა სამსახურის საქმეები, დაჰკრა ფეხი და გაემგზავ-
რა შვილებთან. თანაც კახაბერს დიდი გასაბერი ბურთი ჩამოუტანა, მანა-
ნას კი... აბა გოგოს რა უნდა მიუტანო თოჯინის მეტი!

ვერაფერსაც ვერ მიხვდით.

როგორ არა, კახას დაპირებული ბურთი ჩამოუტანა. დიდი, წითელი
გასაბერი ბურთი. სწორედ ისეთი, თბილისის დინამოელები რომ თამაშობ-
დნენ იმ წელიწადს, როცა ჩემპიონები გახდნენ.

მანანას თოჯინა ხომ თბილისში უყიდეს. ამიტომაც მამამ წითელ-
კობლებიანი კაბა ჩამოუტანა: ხან შენ ჩაიცვი, ხანაც თოჯინას ჩააცვიო.
თოჯინას კაბა დიდი მოუვიდა, მაგრამ მანანას სულაც არ დასწყვიტია
გული.

თუშეცა მთავარი ეს როდია. იცით, რატომ გითხარით, ვერაფერსაც ვერ მიხვდით-მეთქი?

მამას ჯერ ისევ აუარებელი საქმე ჰქონდა თბილისში. ზაფხული ანა-
ლი დაწყებული იყო და შვეებულებაში წასვლაც არ ეჩქარებოდა.

მაგრამ ერთ დილით მის კაბინეტში ტელეფონის ზარმა დაიწკრი-
ლა. დიდხანს წკრილებდა. ასე მხოლოდ მაშინ რეკს ტელეფონი, როცა
სხვა ქალაქიდან გამოგიძახებენ ხოლმე. მამას გაუხარდა, ნამდვილად ჩე-
მი კახაბერი დაშელაპარაკებოთ, მაგრამ შეცდა, კახაბერი კი არა, ბიძინა
ბიძია ელაპარაკებოდა.

— კახაბერი ცოტა შეუძლოდ არის, შენ გნატრულობს. თუ საქმე არ
გაგიფუჭდება, ჩამოდი, — უთხრა ბიძინამ და დაუმატა, — ღვინის გადა-
ღებას ვაპირებ თხუთმეტფუთიანში და ათფუთიანში. უშენოდ არ შინდა
ხელი ვახლო.

მამას ძალიან შეეშინდა. ბიძინა ბიძია დიდხანს ამშვიდებდა — კა-
ხას დაბალი სიცხე აქვს, უბრალოდ, შენ მოგინატრა და იმიტომ დაგირეკე-
თო, მაგრამ მამის გულს აშით დაამშვიდებ? საქმეებიც მიატოვა, მგონი
კაბინეტის კარიც არ გამოუკეტავს, დაჰკრა ფეხი და სირბილით გაიქცა
აეროდრომზე. არა, ეს ნამეტანი მომივიდა. სირბილით კი არა, ტაქსით
წავიდა. ჩაჯდა თვითმფრინავში და ნახევარ საათში ქუთაისში გაჩნდა.
ქუთაისიდან გელათამდე რაღა მანძილია, ათიოდე კილომეტრი თუ იქნება.
თხუთმეტ წუთში ასრიალდა მანქანით.

კახას მართლაც დაბალი სიცხე ჰქონდა. თურმე აშ სამიოდე დღის წი-
ნათ წყაროზე ეთევზავა და იქ გაციებულებოდა.

გაგიკვირდათ ხომ, წყაროზე თევზაობა როგორ შეიძლება?

ვინც ერთხელ გაიგებს თევზაობის გემოს, მთელი სიცოცხლე მეთევ-
ზედ დარჩება. აბა კახას რაღა გაუნელებდა თევზაობის სიყვარულს? მაგ-
რამ იმ დღის შემდეგ, ანკესით ხმელი ტარანი რომ დაიჭირა, გოგომ გა-
დაჭრით უთხრა უარი, სათევზაოდ აღარ წავიყვანო.

კახასაც რა უნდა ექნა. გადაწყვიტა, წყაროში ვითევზავებო. ვენახის
ბოლოს, საურმე შარის პირას ისეთი ცივი წყარო ამოჩუხჩუხებს, შიგ ხელს
ვერ ჩაჰყოფ, მიგაყინავს. ძალიან, ძალიან ცივი წყალი რომ უნდათ, სოფ-

ლის ბოლოს მცხოვრები ალფაიძეები, აბესაძეები და ბაქრაძეებიც იქ მოდიან წყლის წასადებად. სახელად ბაზოულას წყაროს ეძახიან. თქვენ წარმოიდგინეთ, მთელ სოფელში არავინ იცის, რატომ ჰქვია ბაზოულა? ჩამობრძანდა კახაბერი წყაროსთან, ჩაყარა შიგ ანკეები და დაიწყო ლოდინი. ნახევარი სოფელი შეიყარა საცქერად. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას: ღლაეს დაიჭერსო, შეიძლება ორფუთიანი ორაგულიც ამოჰყვესო, ასე კარგად გაწყობილი ანკეებით არც გაგიკვირდეთ, მთელი ტოტი წითელფორაჯა კალმახები რომ დაიჭიროსო...

მთელი დღე უცადა, მაგრამ ვერაფერიც ვერ დაიჭირა. ან რა უნდა დაეჭირა, ვის გაუგონია, წყაროში თევზი ყოფილიყოს! მაგრამ კახა პატარა ბიჭია, ამდენი არ იცის. რა ვუყოთ, არ იცის, ნუ იცის, მაგრამ სხვისიც რომ არ სჯერა, ეს არის უბედურება.

არ სჯერა და დაისაჯა კიდევც.

ცივ წყალში ცოტათი გაცივდა, ცოტათი შერცხვა კიდევ და სალამოს სიცხე მისცა. — ოცდაჩვიდმეტი გრადუსი და ექვსი ხაზი. კახასავით ჯანმრთელი ბიჭისათვის ეს დიდი სხეცხე არ არის, მაგრამ ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ სტიკიავო“. გახადეს კახას, ჩააგორეს ლოგინში და კარგადაც შეფუთნეს.

კახაბერი რისი კახაბერი იქნებოდა, ამ ამბით კარგად არ ესარგებლა. მართალია, სუსტად იყო, მაგრამ სალამოს, როცა სიცხემ კიდევ აუწია, მთლად მოიმკვდარუნა თავი. აუტყდათ წიოკობა ბებოს, დედას, ბიცოლას, გულიკოს. ხომ იცით, ქალების ამბავი!

ლოგინთან დაბალი სუფრა — ტაბლა დაუდგეს და მოართვეს, მაგრამ რა მოართვეს — ხილეული და ტკბილეული. ბებომ საიდანღაც კიდევ გამოაჩინა ორი მტევანი ყურძენი. ორი ხონჩა გაავსეს ნაირნაირი საჩუქრებით.

კახა ყველაფერზე თავს აქნევდა: არ მინდა, არ მინდაო.

— ხილი გინდა?

— არა!

— კამფეტი?

— არა!

— ნამცხვარი?

- არა!
- ბურთი?

ყველაფერი ბურთიდან დაიწყო. ბურთის ხსენებაზე მამა მოგონდა მოგონდა და მოენატრა კიდეც. მოენატრა და ბევრი აღარ მოეფიქრებოდა ბრძანა: მამა მინდაო.

რამდენი არ უთხრეს: მამა თბილისშია, საქმეები აქვს, არა სცალიაო. არაფერმა გასჭრა.

— მამა მინდა! — აიჩემა და მორჩა.

ბიძინა ბიძია გაჯავრდა, სულ გაატუტუტუცეთ ბავშვი, დიდიან-პატარინანდ ყველას თავის ჭკუაზე გვატარებსო! მაგრამ ბიძიას ვინ დაუჯერა. მის სიტყვებზე პირველად თამარა ბიცოლა გაცხარდა: არ გრცხვენია, ბავშვი ავად არის... თვითონ რომ არ ენატრა მამამისი, მაინც უნდა გამოგვეძახათ.

ლომნა ბებომ ბიჭს შუბლზე ხელი დაადო, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: იწვის საწყალი სიცხისაგანო.

ლომნა ბებოს ღმერთი არ სწამს. ჩამორჩენილი ბებო კი ნუ გეგონებათ. პირჯვარი ისე, სხვათა შორის გადაიწერა, იქნებ ბიძინა ბიძიაზე მეტი შთაბეჭდილება მოვახდინოო.


დედასაც ცრემლი მოერია.

გარშემო ისეთი განწყობილება შეიქმნა, რომ კახას შიშით გული კინალამ გაუსკდა, მგონი მართლა კვდებოო და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიცხემაც უფრო აუწია.

რალას იზამდა ბიძინა ბიძია. მეორე დღეს, გათენებამდე ქუთაისში გაიქცა და კახას მამას დაურეკა: კახაბერი ცოტა შეუძლოდ არის, ჩამოდი, თუ საქმე არ გაგიფუჭდებაო, — და მამას ძალიან რომ არ შეშინებოდა, დაუმატა: ღვინის გადაღებასაც ვაპირებო.

მეორე დღეს, დილით მამა გელათში გაჩნდა. კახას ისე გაუხარდა, რომ ლოგინიდან ჩამოხტა, კისერზე ჩამოეკონწიალა და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნიდა. მამას შეეშინდა, ავადმყოფი ბავში უარესად არ გაცივდესო და უბრძანა, ახლავე დაწეკო.

კახა აყვირდა: ავად არა ვარ, არც დავწვეები, შენთან ყოფნა მინდაო.



გაუსინჯეს შუბლი — გრილი აქვს. უნახეს სიცხე — წორმალურია ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა. ავადმყოფობის არაფერი ეტყობა. პირიქით, მამამ თქვა, ამ ცოტა ხანში ასე როგორ მოაფერიანეთ, თურაშაულივით უღვივისო.

მამას ძალიან გაუხარდა, რომ ბიჭი ჯანმრთელად დახვდა, მაგრამ მეორე მხრივ, ცოტა განაწყენდა. თბილისში იმდენი საქმე ჰქონდა, აქ კი რაღაც მოტყუებასავით გამოვიდა. გაჯაგრებაც დააპირა, მაგრამ კახაშვილადამშვიდა:

— არა უშავს, მამიკო, იმიტომ დაგიბარე, სათევზაოდ მინდა წაგიყვანო. გოგია არ მომყვება, მე კი ძალიან მინდა, დიდი, ორფუთიანი ღლავი დავიჭიროო...

რაღას იტყოდა მამა. მართალია, თბილისში ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ თევზაობაზე მნიშვნელოვანი ერთიც არ ყოფილა. ვინც ერთხელ გაიგებს თევზაობის გემოს, მთელი სიცოცხლე მეთევზედ დარჩება. ჰოდა, ბავშვობაში კახას მამასაც ხშირად უთევზავია.

როგორ გავამხილოთ და, მგონი ცოტათი კიდევ გაუხარდა, რომ მისმა ბიჭმა ასეთი მნიშვნელოვანი საქმისათვის გამოიძახა თბილისიდან.

ქოქო მუხრანოვი

პახა დანიპარბა

იმ დღეს არაფერი და მეორე დღეს ბიძინა ბიძია გათენებამდე შეუდგა საქმეს. ჯერ თხუთმეტფუთიანი ჭური მოხადა, შიგ ბლომად ბლის ტოტები ჩააფინა და გასარეცხად მოამზადა. ათფუთიანი უკვე კარგა ხნის გარეცხილი და თავგადაგლეხილი ჰქონდა. ახლა წყლის გამოვლების მეტი არაფერი დასჭირდებოდა.

მერე ოთხმოცფუთიანი მოხადა. ვეებერთელა ქვევრში ღვინო თითქმის ფსკერზე დასულიყო. მოხადა და მამას დაუძახა.

თამარა ბიცოლამ ცხელი მჭადი, პრასი და ჭყინტი ყველი მოიტანა. ბებომ — პამიდორი და კიტრი. დედამ ბოსტნიდან მწვანილი მოარბენინა. გოგომ ორი ჯორკო გამოიტანა.

რაო?.. ჯორკო არ იცით რას ჰქვია?.. ჰოი, თქვენ კი შევირცხვით ეგ მოთხუბნილი ცხვირი! ჯორკო ხის კუნძიდან გამოთლილ დაბალ სკამს ჰქვია.

ჰოდა, მაშა და ბიძია ქვევრთან ჩამოსხდნენ. ბიძიამ კარგა მოხრდით და ღლი ორშიმითი ღვინო ამოიღო და პატარა ჭიქებში დაასხა. ღვინოს დაძველებული ქარვისფერი დასდებოდა. მამამ ოღნავ მოწრუპა და სიამოვნებისაგან ტუჩები გააწკლავუნა.

— მაშა, მაშა, — ჩაიღიმა ბიძიამ, — ღვინო კი არა, უკვდავების წამალია!

შემდეგ დაილოცა: ამ ჭერს და ფუძეს, ჭურსა და მარანს გაუმარჯოსო, — და გადაჰკრა.

'მამამაც დალია და თქვა: აბა ლიმონათივით შაქარზე კი არ არის დაყენებულიო.

კახას ძალიან გაუკვირდა მამის ნათქვამი. სასაცილო ხალხია ეს უფროსები. განა ტკბილი ლიმონათი არა სჯობია ამ მჟავე ღვინოს? თქვენც ხომ ასევე ფიქრობთ, ა?

თუმცა ცოდვა გაბხედილი სჯობია, უფროსებს თქმისა რცხვენიათ, თორემ ლიმონათი იმათაც ურჩევნიათ.

აი, როცა თქვენ და კახა გაიზრდებით, ნუ შეგრცხვებთ და ღვინის მაგიერ სულ ლიმონათი და შარბათიანი წყალი სვით. გემრიელიც არის და მარგებელიც.

ერთი სიტყვით, 'მამამ და ბიძინა ბიძიამ დაილოცეს, მერე კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო მოაყოლეს, წაიხმეს და ადგნენ. აბა ქეიფის დრო სად ჰქონდათ! ქვევრი გასარეცხია, მანამდე ორჩხომელებია დასამზადებელი და დასალბობი.

არც ორჩხომელა იცით, რა არის? ორჩხომელა ქვევრის სარეცხია. ერთად შეკრულ ბლის ხმელ ტყავებს გრძელ ტარზე აასხამენ და ქვევრს კიდევებზე უსვამენ.

მამამ ოთხნოცფუთიანს სარქველი დაახურა და ცოტა 'შიწა წააყარა, შიგ ქათამი ან გოჭი არ ჩავარდესო. მერე ყველა საქმეს შეუდგა.

კახამ ერთ ხანს კომშის ხის ტოტებზე ჩამოკიდებული ორშიმო ათა-



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



მაშა. მერე თოხი აიღო და ქვევრს მიწა მიაყარა. ბოლოს თხუთმეტჯუ-
თიანს გადაეყუდა.

— აა! — ჩაჰყვირა ქვევრს.

— აა! — ამოსძახა ქვევრმა.

— დედა! — ჩასძახა.

— ედა! — გაისმა პასუხად.

— ედა კი არა, დედა! — გაუსწორა ბიჭმა.

ეს თამაში ძალიან მოეწონა. იწვა ქვევრში თავჩარგული და ფიქრობდა, კიდევ რა მოეგონებინა, რომ ქვევრის გამოძახილი უფრო სასა-
ცილო მოსჩვენებოდა.


ალბათ ფიქრისაგან თავი მეტისმეტად დაუმძიმდა, იქნებ ძილიც მოერია, ქვევრში ხომ ისე ბნელოდა. ერთი სიტყვით, დამძიმებულმა თავ-
მა დაბლა-დაბლა დაიწია და ტყაპ!.. კახამ ქვევრის ფსკერზე მოადინა ტყაპანი. კიდევ კარგი, ფსკერი ბლის რბილი ტოტებით იყო მოფე-
ნილი.

ჯერ გაიფიქრა, ვიტყვებო, მაგრამ როცა დაუკვირდა, მიხვდა, სა-
ტირალი არაფერი ჰქონდა. ფეხი მოისინჯა — არ სტკიოდა. ხელი მოი-
სინჯა — მთელი ჰქონდა. თავს რა მოუვიდოდა, თავით პირდაპირ რბილ
ფოთლებზე დაეცა. ჰოდა, ტირილი რომ დაეწყო, როცა ჰკითხავდნენ, რა
გატირებსო, რა პასუხი გაეცა? ამიტომაც გადაწყვიტა, კრინტსაც არ
დაუძრავო.

გარშემო 'შიმოხედა და მოეწონა კიდევც. ზევით, ქვევრის ვიწრო
ყელში ლურჯი, კრიალა ცა მოჩანდა. რამდენიმე კომპის ფოთოლი უფა-
რავედა ცას, მაგრამ რა მოხდა მერე! ასე უფრო ლამაზიც იყო. ერთ ხანს
კახამ ისიც სცადა, დაეთვალა რამდენი ფოთოლი ჩანდა ქვევრის ყელიდან,
მაგრამ ვერ მოახერხა. ბიჭმა სულ ოთხამდე იცოდა თვლა, ფოთოლი კი
ორჯერ ოთხი და კიდევ სამი იყო. აბა ამდენს როგორ დათვლიდა?!

მერე სიმღერა წამოიწყო:

— ეუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა.
დანამა, დანამა, დანამა,
დიდი მინდორი დანამა.



ქვევრი ისე გუგუნებდა, გეგონებოდათ, ათასი კაცი ერთად მღერისო. კახამ ხმას დაუწია, ღიღინზე გადავიდა.

ქვევრი მაინც გუგუნებდა და გუგუნებდა.

მერე კახამ თვალი მილულა და სულ ჩურჩულით წამოიწყო სიმღერა.

ქვევრიც აჩურჩულდა, მაგრამ ეს ათასი კაცის ჩურჩულსა ჰკავდა.

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...

მერე ჩურჩული მიწყდა, განაზდა, დედის სიმღერას დაემსგავსა — იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო...

ეს ამოდენა ქვევრი აკვანივით დაირწა. ზევით, ქვევრის პირში რომ ცა მოჩანდა, ისიც დაირწა, კომშის ფოთლებიც დაირწა... „იავ ნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო...“

და კახაბერს ქვევრის ძირში ბლის რბილ ტოტებზე თავმიდებულს ტკბილად ჩაეძინა.

ზემოთ კი ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ბებომ საჭაპურები დააცხთ. თამარა ბიცოლამ კეცებიდან ცხელი მჭადები წამოყარა. დედამ წალოდან ყველი, მწვანელი და ნიორწყალში ჩალაგებული წიწილები გამოიტანა.

ბავშვებისათვის ცალკე გაშალეს დაბალი სუფრა. კახას სოფელში ასეთი წესია, ბავშვები და უფროსები ცალ-ცალკე სადილობენ. მე თუ მკითხავ, ძალიან კარგი წესიც არის. სუფრაზე არაფერი აკლიათ ღვინის გარდა, ღვინოს კი ნეტა უფროსებიც არ სვამდნენ.

სუფრის თავში გოგი დაჯდა, როგორც ოჯახის უფროსს შეეფერება. გულიკო უკვე დიდი გოგოა. რაც მეთერთმეტე კლასში გადავიდა, უფროსებთან ზის. გოგის მარცხნივ ათული მოთავსდა, შემდეგ მანანა. მარჯვნივ კახას ადგილია, მაგრამ რატომ იგვიანებს, სად ბრძანდება?

— კახა! — კარიდან გასძახა დედამ.


პასუხი არ არის.

— კახა! — ეზოში გავიდა მანანა.

პასუხი არ არის.

— კახა! — უკვე ეზოს ბოლოში ყვირის ათული.

პასუხი არ არის.



— კახა!.. კახა!.. კახა!.. — ახლა უკვე ყველგან ისმის ეს ძახილი, — ნაელავზეც და წყაროზეც, ქვარნაშიც და ღობიროშიც. ეძახიან დედა, მამა, ბებო, ბიძია. ერთი სიტყვით, ყველანი. მეზობლებიც წამფეშველნენ ვილას ახსოვს სადილი. გაწყობილი სუფრა მიატოვეს და გაიქცნენ, ბავშვს დაეძებენ.

არ გეგონოთ, გაწყობილ სუფრას ვინმე მიეკაროს. ამას დომნა ბებოს გაქუცული კატა პანტელეიმონიც არ იკადრებს. ცოტა გოჭები არიან უსინდისოები, მაგრამ იმ თხუპნიებს მურა ღირეზეც არ გადაადგმევიანებს ფეხს.

გავიდა ერთი საათი, ორი, სამი.

დედას ტირილისაგან თვალები დაუსივდა. დომნა ბებიას ლაპარაკიც აღარ შეუძლია. ბოსტნის გვერდით, სერზე მოურთხამს ფეხი და უხმოდ მოთქვამს. ბიცოლა ჯერ კიდევ მარჯვედ არის, ვენახში დადის და ყველა ვაზის ძირს სინჯავს, ბიჭს სადმე ხომ არ მიეძინაო.

ბოლოს გადაწყვიტეს, სოფელი შეეყარათ და ტყეში გასულიყვნენ საძებრად. მართალია, კახა ჭკვიანი ბიჭია და დაუკითხავად აქამდე არსად წასულა, მაგრამ შეიძლება დილით ძროხებს გაეკიდა და მერე გზა ვეღარ გამოაგნო, რა მისი ბრალია.

ამ გადაწყვეტილებამ დედა და ბებო ცოტა დაამშვიდა. მართალია, ტყე ძალიან დიდია, მაგრამ ბავშვი ნემსი ხომ არ არის, მოიძებნება. მერე კიდევ, ამ ტყეში დათვი არ იცის და მგელი! დიდი-დიდი, კურდღელს წასწყდომოდა სადმე. კურდღლისა კი აბა ვის ეშინია?!

გოგიმ, ათულიმ, გულიკომ, მანანამ გადაწყვიტეს, სოფელში გაქცეულიყვნენ და ახალგაზრდებისათვის მოეყარათ თავი. ტყე ძალიან დიდია და ორი-სამი კაცი მთელი თვე მოუნდება შის მოვლას.

მამა, ბიძია და ბიცოლა უკვე წასასვლელად გამეზადნენ.

სწორედ ამ დროს გაისმა კახას ცრემლნარევი ხმა.

— დედა, დედა!

ერთ ხანს გაუჭირდათ მიგნება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს წააწყდნენ. ქვევრში თითის წვერებზე შემდგარიყო, კიდეს ეპოტინებოდა და თვალებს იფშენებდა.

— დედა, ხაჭაპური და ცივი რძე მინდა, 'შშია!

გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე გაჩნდა ზევით. სინათლემ თვალი

ატკინა და მაგრად დახუჭა. ხან დედა იხუტებდა, ხან მამა, ხან ბუბო, ხან ვინ და ხან ვინ.

ვერაფრით ვერ გაიგო ბიჭმა, რა მოხდა. მთავარი ის იყო, რომ შირდა, ცივი რძე და ცხელი ხაჭაპური უნდოდა.

შინ არაფრით არ წაბრძანდა, აქ მირჩევნია ყოფნაო. ისევ ქვევრში ჩახტა და საჭმელი მოითხოვა. რაღას იზამდნენ, იქვე მოართვეს — ხაჭაპურიც, რძეც, წიწილის სორციც, ყველიც, ცხელი მჭადიც... თუმცა ცხელი სადღა იყო.

ასეთი გემრიელი სადილი არასოდეს უჭამია კახაბერს. ან რა გასაკვირია. ქვევრში, მართალია, ცოტა სივიწროვე იყო, მაგრამ სამაგიეროდ ბლის რბილ ტოტებზე იჯდა. ზევით კი, ქვევრის ვიწრო ყელში, ლურჯი ცა მოჩანდა. ხაჭაპურიც საოცრად გემრიელი იყო, ჭრელო ძროხასაც ამ დილით განსაკუთრებით გემრიელი რძე მოეწველა.

არა გჯერათ? ჩამობრძანდით გელათში და თვითონვე ისაუზმეთ კახაბერის ქვევრში... დიახ, დიახ, ახლა იმ ქვევრს უკვე კახაბერის ქვევრი ჰქვია!

კახას სოფელში გვიპატიჟებათ

მამამ შევბუღება აიღო და მთელი ზაფხული სოფელში დარჩა. ისა და კახაბერი ერთად დადიოდნენ სანადიროდ, სათევზაოდ, სამუშაოდ.


ვინ მოთვლის, კახას რამდენი საინტერესო რამ გადახდა თავს. მაგრამ ყველაფერს ერთად ხომ არ მოგიყვებით. დანარჩენს სხვა დროს გიამბობთ.

თუმცა მე რა შუაში ვარ. ახლა კახამ უკვე წერაც იცის და კითხვაც. გადაწყვიტა, მეორე წიგნი თვითონვე დაწეროს. ნახავთ, რა საინტერესოდ გიამბობთ ნაირ-ნაირ ამბებს.

რა ამბებია?

რა და, როგორ დაიკარგა ბოჩოლა, როგორ ეძებდა მთელი ოჯახი და ვერვინ იპოვა. ბოლოს ისევ კახამ ივაჟაკაცა და ნალის უკან მსხლის ტოტზე მიბმული ნახა. თურმე ბებოს დაება და დაეიწყებოდა.

იმასაც მოგიყვებათ, როგორ დაკბინეს ფუტკრებმა. შერთალია,



ფუტკრებს ძალიან ტკბილი თაფლი აქვთ, მაგრამ კბენა კი მწარე სტონდათ. ვინ იცის, კიდევ რამდენ რაიმეს გიამბობთ, ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი წიგნი აქ დავაბთავრო.

მხოლოდ ერთი კი უნდა გითხრათ, ესეც კახაბერის დავალებით. ძალიან მოხოვა, ვინც კი ამ წიგნს წაიკითხავს, მომავალ ზაფხულს სოფლად მეწვიოსო.

სოფელი ძალიან იოლი მისაგნებია. გელათის მონასტერი ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, მობრძანდით გელათში და ეწვიეთ კახას. მისი პოვნა არ გაგიჭირდებათ. თქვენ მხოლოდ „თბილისელი კახა“ იკითხეთ. ასე ეძახიან სოფლელი ტოლები. კახას მოსწონს მეტსახელი, მაგრამ არ ყოყობს. პირიქით, სადაური თბილისელი ვარო, — ამბობს ხოლმე. — მამაჩემი აქ დაბადებულა და გაზრდილა. მეც აქაური ვარ, ეს ჩემი მამულიაო.

მამას ძალიან უხარია, როცა კახა ასე ამბობს, რადგან თუ ბავშვს თავისი პატარა ეზო არ უყვარს, ის დიდ სამშობლოს ვერ შეიყვარებს.

სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდა. იყავით კარგად, მეგობრებო, კახას კი უთუოდ ეწვიეთ მის პატარა სოფელში:

- იქ, სადაც შრიალა ტყეებია,
- იქ, სადაც თევზებით სასვე მდინარეა,
- იქ, სადაც ლურჯი მთებია!..



ს ა რ ჩ ე ვ ი

კახა სოფელში მიდის	5
დღე ფათერაკებით დაიწყო	8
თ ე ვ ზ ა ო ბ ა	13
ერთი გოდორი სოკო	17
ბებომ ბოდიში მოიტანა	24
როგორ გადარჩა კატა დამტვრევას	27
მამა ჩამოვიდა	29
კახა დაიკარგა	33
კახა სოფელში გეპატიყებათ	39

რედაქტორი ე. თვარაძე
მხატვარი ე. დოღენჯაშვილი
მხატვ. რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნორედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. ენდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-67 წ.
ქაღალდის ზომა 70×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 2,75
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,41
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1703
ფასი 8 კაბ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტ.მბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5



Гоголашвили Вахтанг Мануилович

ТАМ, ГДЕ СИНИЕ ГОРЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1987

500

ნ 92/1746



ქვირფასო მკითხველი

გთხოვთ მოგმწეროთ თქვენი აზრი ამ წიგნზე

ჩვენი მიხამართია:

ქალაქი თბილისი.
ვაჟა ფშაველას პროსპექტი, 15,
საბავშვო წიგნის სახლი.

K298.777
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

